თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერ. ჟ ა

1918 წ. № 7 კვირა, მაისის 5 ფასი 75 კაპ. წელიწადი მეექვსე გამოცემის

ai სახე ოთხი ძმისა,
ჩვენ სამშობლოს დამცვე-
ლისა‘
ai სახე ოთხი გმირის,
დაუღალავ მებრძოლისა.
ai, სახე ვალოდიას,
სასახელო ჩვენი გმირის,
აგერ მისი ძმა ალფესი,
ვის მკერდშიაც ცეცხლი
ღვივის

ai სახე უმცროს ძმების,
ოესი და მელენტისა
ბრძოლის ცეცხლში ქედუხრე-
ლი
და ხელმარჯვე მსროლელისა
ოთხივესთვის გმირი სული
შთაუბერავს ზესთა-ზენას;
ვაშა თქვენა, ხალხის შვილნო,
გაუმარჯოს თქვენს მარჯვენას.

დ. ჭანჭათელი

ოთხნი ძმანი გოგვაძენი

1, ვალოდია (მაღლა ჯავშნოსანზე)—ამიერკავკასიის ჯავშნოსანთა უფროსი ხელმძღვანელი; 2, ალფესი—№ 4 ჯავნოსანის კომანდირი; 3, ნოე—ფეიერვერკერი არტილერისტი და 4, მელენტი—ქვეითა რაზმელი მეყუმბარე და ტყვიის მფრქვეველის მხმარებელი. ოთხივე ძმა რევოლიუციის და ჩვენი ქვეყნის დასაფარავად თავგამოდებით იბრძვის. ვალოდია, ძველი მთავრობის გან დევნილი, რავდენჯერმე დაჭრილი, უკანასკნელ ბრძოლაში ჩოლოქთან. აპრილის 8, ექვს ადგილას დაიჭრა. აქვე დაიჭრა ნოე, ალფესა—განჯაში დაიჭრა. ჩოლოქთან მისმა ჯავსონანმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა და ჩვენი მხარე მტრის ხიფათისგან იხსნა. ვ. გოგვაძის ჯავნოსანი მრავალ ტყვია ნაკრავია, თ[illegible] თქმის დაცხილულიბ აგრეთვე ვ. გოგვაძის შინელი, რომელიც ახლა მუზეუმში ინახება.

სადღეისო წერილები

ძმა ძმის მკვლელი გინახავთ ან გსმენიათ თუ არა ცეცხლ წაკიდებულ სახლში ბალღები რომ მოემწყვდევიან, დედის შინ არ ყოფნის დროს, როცა დედა გაიგებს, რა ანგარიშ-მიუცემლად შეევარდება, ხელს დასტაცებს, და გადაარჩენს, თუმცა თვითონ ხშირად გაძლიერებული ცეცხლის მსხვერპლი ხდება?! ანუ მატარებელი მოჰქრის, შუა ლიანდაგზე ბალღები თამაშობენ, აგერ საცაა გასჭყლეტს,—დედამ თვალი მოჰკრა, ელვასებრ გაქანდა, შვილები გადაარჩინა, თვითონ კი მატარებელმა გასრისა...

სწორედ ასე ანგარიშ-მიუცემლად მოექცა დედა-საქართველო გაქშუებულ შვილს—ქართველ მაჰმადიანობას—აჭარა-ქობულეთს, როდესაც ამ ოთხი წლის წინად მსოფლიო ომის ცეცხლი აგიზგიზდა და აჭარა შუაში მოექცა: განდგომილობისათვის აკლება-აწიოკება, ციხე-ციმბირი-სარჩობელა და საკუთარი ბინის დაკარგვა მოელოდა, მაგრამ მშობელმა დედამ—დედა საქართველომ თავისი მზრუნველი კალთა გადააფარა, ყველგან ყოველ შეიწროებისგან დაიფარა, თუმცა თვით კი ცეცხლს მიეცა...

განა ამას აჭარა-ქობულეთი დაივიწყებდა? თუ არა, მაშ რომელმა ბოროტმა სულმა შეაცდინა იგი, რომ თვისივ ძმის წინააღმდეგ მახვილი იშიშვლა, თოფი გასტენა?!

მინახავს მტრის ენის სისინით მოჩხუბარი ძმანი, ერთი მეორეზე ხმალ ხანჯლით გავარდნილნი... აგერ ავი ენით გონდაბნეულმა უმცროსმა გულში ჰკრა, ნაავადმყოფარი უფროსი წაბორძიკდა, მაგრამ მალე თავი შეიკავა, ხმალი შეიმაღლა, ისის იყო ძმისთვის შუბლი უნდა გაეპო, რომ მკლავი ჰაერში შეუჩერდა: „ეს ხომ ჩემი ღვიძლი ძმაა, დედა-ჩემის მუცლიდგან შობილი?“ გაიფიქრა, მოდუნებული ხელი დაბლა დაუშვა და მწუხარებით უმცროს ძმას შესძახა: შეგრჩეს, ძმაო, ეგ გულში ნაკრავი, მაგრამ იცოდე, მოვა დრო და შეინანებ: ჩვენ რომ ერთმანეთი დავხოცოთ, მამული და სახლ-კარი რაღად გვინდაო?

სწორედ ასე დაემართა ორ ძმას—საქრისტიანო და სამაჰმადიანო საქართველოს. სამუსულმანო საქართველომ, მართალია, საქრისტიანო საქართველოს მახვილი დასცა, მაგრამ საქრისტიანო საქართველო შურს არ იძიებს, მკლავი ვერ გაუჭრის, რომ ძმას ჩასცეს...

და აკი მკლავი მოუდუნდა იმ იდუმალი, მაღალი, ღვთიური ხმის ჩაძახებით, რომელიც ამხილებს: გონს მოდით, თქვენ გფერობთ ერთად სიცოცხლე, ერთად სიკვდილი...

დაე, მომავალმა დასდოს მსჯავრი ამ ორ ძმაში ვინ უფროა მოღალატე სამშობლო ქვეყნისა: საქრისტიანო საქართველო, რომელიც ერთმორწმუნეობის მიზეზით რუსებს გაექელვინა ფეხქვეშ, თუ საოსმალო საქართველო, რომელიც იმავე ერთმორწმუნეობის გამო ოსმალეთს მიეკედლა?!

ღღეს ამას ნუ გამოუდგებით, სარწმუნოების საქმე ღმერთზე მივაგდოთ, ვისაც როგორც ესმოდეს და მოსწონდეს ისე ილოცოს, ხოლო ჩვენ ერთმანეთს ნუ დავშორდებით, თორემ ამას არც ღმერთი გვაპატიებს, არც ერთის სჯული არ შეიწყნარებს და მომავალიც წყევა-კრულვით მოგვიხსენიებს!..

ძმა ძმის მკვლელს ქვეყანაზე არ გაუხარნია და ვერც ჩვენ გავიხარებთ, თუ ერთმანეთს დავხოცავთ..

ჩვენი ხსნა ჩვენს ერთობაშია!..

—

ჩვენი ალდგომა ბევრის ყოყმანისა და წაჯექუკუჯექობის შემდეგ ამიერ-კავკასიის სეიმმა დაადგინა გამოაცხადოს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა და შექმნას დემოკრატიული რესპუბლიკა მოკავშირე სამეფოთაგან.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკაში მოკავშირეებად შევლენ საქართველო, ადერ-

ბეიჯანი, სომხეთი და მთიულეთი.

რუსეთის ჯარის გახრწნამ, ანარქიამ ბალშევიკების მიერ ჩვენი ქვეყნის გაყიდვამ ამიერ-კავკასიის ერთა ხელმძღვანელნი ამ დასკვნამდე მიიყვანა.

მაგრამ ეს პირველი ნაბიჯია, საჭიროა მეორე ნაბიჯიც: საქართველოს ეროვნულ მთავრობის შედგენა ჩვენი დამფუძნებელ კრების მოწვევა და ქვეყნის ყოფა-ცხოვრების წესიერ კალაპოტში ჩაყენება.

რა თქმა უნდა უპირველეს ყოვლისა კი ომი უნდა მოისპოს და ზავი შეიკრას.

ამიერ კავკასიას საზოგადოდ და კერძოთ საქართველოს გადამთიელთათვის სისხლის საღვრელად აღარ სცალიან.

დაე, ყოველმა ჩვენთაგანმა კარგათ შეიგნოს და გაითვალისწინოს, რომ საკუთარი თავის ხსნა მხოლოდ საკუთარ ძალთა აღორძინებაზეა დამოკიდებული. ის ვინც ნიადაგ სხვას შეჰყურებს — მუდამ მფეხქვეშ გაიქელების...

კმარა რაც თავში გვიფაჩუნებდენ, ფეხქვეშ გვთელავდენ და საკუთარ მიზნის განამარჯვებლათ უცხო ქვეყნებში უცხოთა წინაალმდეგ გვაბრძოლებდენ...

ჩვენი სამშობლო, ჩვენი კერა, ჩვენი ხალხი თვითვე საჭიროებს ყოველი ქართველის ძალღონეს...

და როცა ჩვენ საკუთარ ძალღონით საკუთარ—საქართველოს მართველობას და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შევქმნით მაშინ უფრო თავლებით გულ ხალვათად შევალთ ამიერ კავკასიის დემოკრატიულ რესპუბლიკის კავშირში.

და ჩვენი აღდგომაც მაშინ გათენდება.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს ამიერ კავკასიის დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

იოსებ იმედაშვილი

წერილები ხელოვნებაზე

მუსიკა

1914 წ. დ. არაყიშვილმა ქ. მოსკოვში ეროვნული კონცერტი გამართა. ანტრაქტებში მომიახლოვდა ერთი ცნობილი რუსის ჟურნალისტი და შემეკითხა

—ერთი ეს მიბრძანეთ, ამნაირი ნიჭიერი კომპოზიტორი დ. არაყიშვილი ამ მისთვის უცხო მოსკოვში რას აკეთებს? განა საქართველო არ საჭიროებს მაგ-გვარ მოღვაწეებს?

ამ კითხვამ, ცოტა არ იყოს, უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენა და სწრაფად ვერ ვერ გავეცი პასუხი.

—რუს საზოგადოებას აცნობს ჩვენს ეროვნულ მუსიკას მეთქი. ძლივს ვუპასუხე.

—განა თქვენი საზოგადოებაკი კარგათ არის გაცნობილი ეროვნულ მუსიკას? საქართველოში ყოფნის დროს, მე სულ არ მსმენია ეროვნული ჰანგები და, თუ არა ვსცდები, რუსის საზოგადოება უკეთ იცნობს ქართულ მუსიკას, ვიდრე თქვენ! წინასწარმეტყველს თავის მამულში ვერა სცნობენო... ჩამიცინა ჟურნალისტმა და გამშორდა.

სწორედ გითხრათ, ძალიან შემრცხვა: ჯერ ერთი რომ ტყუილში დამიჭიეს და მეორე—ჩვენი საზოგადოების გულგრილობის. მერე ვისი ბრალია ყველა ეს? ისევ ჩვენი გადაგვარებულ საზოგადოების.

წვრილმანებს არ გამოვეკიდები. დღეს დრო შეიცვალა. ეროვნულმა შეგნებამ გაიმარჯვა! შეგნებულმა დემოკრატიამ ლახვარი ჩასცა გადგვარებულ ინტელიგენციას და ააფრიალა ეროვნული დროშა. მასთან ერთად ჰყვავდება ჩვენი ხელოვნება, თუმცა ჩვენი ხელოვნებას შავრაზმელნი ცდილობენ თავიანთ ბინძურ ხელიბით ჩამარხონ ჩვენი ხელოვნება, მაგრამ ამაოდ...

დროა გავანთავისუფლოთ ჩვენი ხელოვნების მრავალტანჯული ამირანი: დიმ. არაყიშვილი. მივეშველოთ და მხარი მივცეთ მას...

—

სიბნელით მოცულ ნავთლუღის ქუჩებში სადარაჯოზე დგას ერთი მოხუცი მილიციონერი. რომელიც მიყრდნობია თავის თოფს და ჩუმად ღიღინებს... ვინ იცის, რომელი ავაზაკის ტყვია გაუგმირავს მას გულს? და ეს მოხუცი არის ჩვენი სახელგანთქმული მელქისედ ნაკაშიძე.

ლოტბარი, საზოგადო მოღვაწე, მწიგნობარი, პირველი მცოდნე საქართველოს საეკლესიო გალობის თუ მწიგნობრობის და სხ., ოდესღაც დიდი შეძლებუთავადი...

მან ყოველივე შესწირა ხალხს და იფიქრა, უკანას კნელ წლებს საზოგადოება შეიფარებდა... მაგრამ მოსტყუვდა: მელქისედეგ ძვირფასი იყო მათთვის მხოლოდ მაშინ, როდესაც შეძლება ჰქონდა, მისი ქველმოქმედ-

ბით სარგებლობა შეიძლებოდა, ახლა-კი იგი ყველასაგან მოძულებულია და იძულებულია, ამ იშვიათმა მცოდნემ და სასარგებლო კაცმა შიმშილის შიშით მილიციაში იმსახუროს.

კიდევ სირცხვილი!

ქართველ მომღერალ-მუსიკოსთა კავშირმა გაიცხადება შეიტანა კათოლიკოსის საბჭოში და სთხოვა დაერასებინათ მედავითნეთა კურსები და ხელმძღვანელად ნაკაშიძე მიეწვიათ, სპეციალისტი ლოტბარი დასავლეთ-საქართველოს გალობისა.

მაგრამ განცხადება ჯერ განცხადებათ დარჩა...

თუ გვინდა, ჩვენს ხალხში გაიღვიძოს მიძინებულმა სამშობლო ხელოვნების სიყვარულმა, უნდა ვიზრუნოთ საეკლესიო ხელოვნების ასაყვავებლად, რომელიც არა თუ არ ჩამოუვარდება საეროს, არამედ მასზე წინაც დგას.

უკანასკნელი მტერი ჩვენი ეკლესიისა ეპისკოპოსი თეოფილიკატე თავის ამქრებით საქათალიკოსო შენობებიდან გააბრძანეს როგორც დაუპატიჟებელი სტუმრები.

ახლა ეს შენობა განთავისუფლდა.

ასე რომ შესაძლებლობაზე ახლოს ვსდგევართ, მოვახმაროთ ეს შენობები სწრრედ ჩვენი საეკლესიო ხელოვნების ასაყვავებლად.

აი, სალსარიც და ბინაც! **ხვ. წერეთელი**

დრამა.

ჩვენი დრამა თითქო სიკვდილის პირზეა.

ერთხელვე გაკვალული გზა, მამა-პაპით ამოჭრილ ქარგაზე მუშაობა.

თვით ნიჭიერი მსახიობიც-კი უბრალო ხელოსნებამდე ჩამოხურდავდენ.

აღფრთოვანება, გატაცება, ნამდვილ ხელოვნების ცათა შინა ნავარდი ძლიერ იშვიათია.

მოიკოჭლებს შინაარსით და გარეგნული სახითაც.

მყვირალა პიესების უშნო დადგმით თვით მდაბიო მაყურებელსაც ვერ დააკმაყოფილებ, არა თუ გემო განვითარებულს, სულიერ საზრდოს მოწყურებულს.

არსებულ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად დიდი ხანია საჭრო იყო ახალი გზის ძიება, ახალ საშუალებათა მოძებნა.

ბევრი ლოდინის შემდეგ ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ ძლივს გადადგა გაბედული ნაბიჯი და განიზრახა სრულიად ახალი დასის შედგენა, ახალის რეპერტუარით... საქმის ხელმძღვანელადაც მოიწვია ევროპიულ ცოდნით აღჭურვილი პირი (გ. ა. ჯაბადარი, პარიზის თეატრის რეჟისორი), რომელსაც მიანდო საქმის გაძღოლა.

გ. ჯაბადარი უკვე ბეჯითად შეუდგა მუშაობას, დიდძალი ახალგაზრდობა შემოიკრიბა ყოველგვარი ცოდნით აღჭურვილნი, გარეგანის შეხედულებით ნამდვილნი მსახიობნი. უყურებ და გიკვირს: ეს ძალნი დ ღემდე ბად იყვნენ მიჩქმალულნი?

ეს ნაბიჯი ფრიად საგულისხმიეროა, ვულოცავთ ჩვენს საზოგადოებას და ვუსურვებთ თავის მიზნის სასახელოდ შესრულებას.

ჩვენი დრამატიული ხელოვნება ერთ მორევში ბრუნავს და საჭიროა გამოსავალი გზა—ახალი გეზი.

და ჩვენი ახალი დასი თუ ამას შესძლებს, ნამდვილი რევოლიუციონერი შეიქნება ჩვენს ხელოვნებაში.

ხოლო ახალმა დასმა რომ მართლა ნამდვილი რევოლიუცია მოახდინოს სასცენო ხელოვნებასა და ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საჭიროა დრამატურგიაც დაადგეს აღორძინების გზას.

ჩვენს ახალგაზრდა მწერლებსა და დამსახურებულთ მართებთ ამ საგანს დაუფიქრდენ და მუშაობა გააცხოველონ. ეს მით უმეტეს, რომ დღეიდან მათი შრომა ძველებურათ სამადლოდ აღარ დარჩება, არამედ ჯილდო მიეზღვის.

გაუმარჯოს ახალ დრამას, გაუმარჯოს ახალ მსახიობს! **ექიმი შტოკმანი**

სამშობლო

სამშობლო გატიალდება, თუ შვილნი გაუდგებიან.
ოხრად დარჩენილს წალკოტსა კაჭკაჭნი ჩაუდგებიან.
ამის არ მსურველს მე ბევრჯერ სიცოცხლე გამწარებია,
სამშობლოს ტანჯვით ვტანჯულვარ, სიკეთე გამხარებია.

მიტომაც არი სამშობლოს ვეტრფი და ველაღადები,—
ჩემად ჩავთვალე სიავე იმისთვის განამზადები.
წყეული ვიყო, თუ წუთით დავტოვო ეს გზა-სავალი
და თუ ჩემად არ ჩავთვალო იმის თავ-გადასავალი..'

მ. ველისციხელი

შავი ღრუბლები

აჰა, დასჩხავის ჩემსა სამშობლოს ყვავ-ყორანთ გროვა;
ცასა ფირუზსა გადაჰფარვია შავ ღრუბელთ გროვა..
მზეც აღარ მზეობს, ჩვენთვის ნათელი არ მოსჩანს არა,
ათას წლობითა ტანჯვა ვაება ნუ თუ არ კმარა!..

ლანგთემურის დრო და შაჰაბაზის კვლავ დაგვიბრუნდა;
კვლავ ქუდზე კაცი მტრის დასახვედრათ წავიდეს უნდა.
მამულის ხსნისთვის ჩვენ მოგვიწოდებს გმირთა აჩრდილი,
რომ კარზე მომდგარ ვერაგსა მტერსა ჩავსცეთ მახვილი.

ვარლამ ჩლაიძე

სიმართლე

ზღვა აღელდა, ცას გაეკრა, იქ ღრუბლები გაარუმა
წუთისოფელს ძაძის ბადე გადმოაკრა დაადუმა.

დადგა დილა, მზის სხივებზე იქ ღრუბლები გაიწურა,
აქ ჩემს მამულს ძაძის ნაცვლად ცის სინათლე გადმოხურა.

მიმოჰფანტა ყოვლივე, მზემ მოსძებნა თვისი ბინა,
და სიმართლეს, აქ მომავალს, მზის სხივები მოეფინა.

საშა

სომეხთა იშვიათი მოღვაწე

ტიგრან იაკობისძე ნაზარიანი

(35 წ. მოღვაწეობის შესრულების გამო.)

აი, კაცი, რომელიც 35 წელიწადზე მეტია, რაც დაუღალავად და თავდავიწყებით ემსახურება, როგორც თავისი მშობელი ერის—სომეხთა—მწიგნობრობასა და გათვითცნობიერებას, ისევე სხვა ერთა შორის ყოველივე იმას, რაიცა კაცთ აღამაღლებს, დააწინაურებს და გაადამიანებს: მწერლობას და სცენას, საზოგადოთ ხელოვნებას.

იშვიათად ნახავთ კაცს, რომ ასე ფაქიზად ეპყრობოდეს მწიგნობრობას და ხელოვნებას. ამისი ცხადი დამამტკიცებელია მისი გამოცემანი და ის პატივისცემა, რაიცა დაიმსახურა არა მარტო თანამემამულეთა შორის, უცხოეთშიაც... ათის წლის წინად გამართულმა მისმა 25 წ. მოღვაწეობის იუბილემ გამოაშკარავა მისი ნაღვაწის სიდიადე.

ტ. ნაზარიანი შუშელი სომეხია, მდიდარი დედამამის შვილი. სიყრმიდანვე შეიყვარა მწერლობა და სცენა, საუკეთესოთ შეისწავლა როგორც სამშობლო, აგრეთვე უცხო ენები და არა ერთი და ორი ნაწარმოები გადათარგმნა სომხურ ენაზე.

36 წ. წინად დაიწყო საბავშო ჟურნალ „აგბიური-ს გამოცემა. 29 წ. წინად—ორ კვირეულ ნახატებიან ჟურნალის „ტარაზი"-ს. ეს ორივე გამოცემა დღემ. გამოდის (ფასი იგივე აქვს რაც წინედ.) „ტარაზის" საუცხოვო გამოცემისათვის 1895 წ. პეტრეს ქალაქის სამწიგნობრო საქმის გამოფენაზე ქების ფურცელიც-კი მიიღო. 12 წლის წინად დაარსა სალიტერატურო სალონი, სადაც ყოველ პარასკეობით იმართება სამწიგნობრო თუ საზოგადო შინაარსის საღამო-საუბრები). ტ. ნ. წევრთა საერთაშორისო ბეჭდითი საქმის კავშირისა. რუსეთის რწმუნებულის მწერლობის და ხელოვნების კომიტეტისა ლისამონში, და ეს იშვიათია თითქმის ისეთი საზოგადო-სამწერლო, სასცენო ანუ სხ. საქმე, რომ იგი არ თაოსნობდეს ან არ მონაწილეობდეს.

მისი სახელის მაღალი ღირსება კიდევ იმაშია, რომ ვიწრო-შოვინისტური ზრახვებით არ ხელმძღვანელობს, თავის სალონში გამართა იუბილეები ჩვენთა მოღვაწეთა—რ. ერისთვის, კ.ყიფიანის, ი. ფალიაშვილის, ა. სუმბათაშვილის,-იუჟინის რომლის ბანკეტსაც მრავალი სომხობა დაესწრო. სამწერლო, საქალაქო და სხ. ასპარეზზე მოღვაწეთაგან. გამოსცა აკაკის ნომერი.

გარდა ასეთი მოღვაწეობისა, იგი ფულითაც ეხმარება თავის ერის საჭიროებათ.

ნაღვაწი მისი დიდია და ფართო ყველას ვერ ჩამოვთვლით...

თუმცა მთელი თავისი მამა-პაპაპეული ქონება თავისი ერისა და საზოგადოთ მწერლობა-ხელოვნების წინსვლას შესწირა და თვით ნივთიერად თითქმის დაეცა, მაინც თავგამოდებით ემსახურება ერთხელვე არჩეულ მიზანს. მიზანი მისი დიდებულია, ძმობის, ერთობის, და სიყვარულის სამსახური! გაუმარჯოს მის მიზანს, გაუმარჯოს მის მხნეობას... მრავალიმც გამოჩენილიყოს მისებრივი მოღვაწე ჩვენი დროის ბნელ ცხოვრებაში.

იოსებ არიმათიელი

საღდგომო

სიდიადით მოცულ არეს გაუღიმა განთიადმა,
მიმოავლო თვალი ირგვლივ მის სიბნელე არ ეამა:—
სიცილით და კისკასითა მიმოჰფანტა ქვეყნად ბნელი.
შეიყვარა ცის სამყარო და ჩაჰკიდა მაგრად ხელი.

სულით ობოლს ქართლოსის ძეს აგრძნობნა გული შვება,
მოუწოდა სიმართლისკენ, შეაერთა ყველა კრება,
ერთის აზრით შემოჰკონა თანაც გულით გაუცინა,
„ქრისტე აღსდგა, ჰეშმარიტად" ყველას ერთად ათქმევინა

,,ქრისტე აღსდგა,'' და სიმართლემ გარდიშალა განზე!
ფრთები,
ვნებისათვის ცეცხლი შექნა, დაილეწა თვის ხუნდები,
და თვის მტერი სიწყვდიადე, ჩაჰკლა, მყისვე ჩაანელა,
''ქრისტე აღსდგა, ჰეშმარიტად, თან ჩასძახა ნელა.ნელა
და მით შენცა, საქართველოვ, სიხარული გაგრძნობინა,
შენი შვებით გულდამტკბარმა შენ სიყვარულს მისცა ბინა

,,ქრისტე აღსდგა ,ქრისტე აღსდგა'' ყურში ტკბილად
ჩაგჩურჩულა,
დატანჯულმა შენმა ძემაც ,,ჰეშმარიტად'' შეასრულა,
მაგრამ უნდა ეს სიტყვები წმინდა გრძნობით გამხატოს
მარად შენი სიყვარული გულში ხატად დაიხატოს,
მის სიცოცხლედ შენ შეიქნე, შენით ჰქონდეს არსებობა
ხოლოდ აბშინ სიმართლეცა განათლდება, შეიმკობა.

და ამიტომ, გატანჯულო, წამბულო ჩემო მხარე,
დღეს არსებობ, თავისუფლად აყვავდი და გაიხარე...
შენც ქრისტე ხარ ნაწამები სიდუხჭირით შინ თუ გარე,
აწ აღდგომას მოგილოცავ, იცოცხლე და გაიხარე.

დ. გაბრუაშვილ

სიზმრის ნაწყვეტი

....წერილი სიჩქაროდ გავხსენი, მწერდა: „ოდესღაც მდიდარი სულიერი სალარო შენ მომტაცე, გაანადგურეს... ვივიწყებ სამუდამოთ ამ ქვეყნიურ, წუთიერ განცდას, ბედნიერებას... მაგრამ მარსებობსკი ქვეყნად ბედნიერება? არა მეუბნეოდი შენ მეკი ვიტყვი, ჭეშმარიტათ ვიტყვი, რომ არსებობს. ეს სიყვარულია, უკვდავი სიყვარული და დედამიწაზე სიცოცხლის აზრიც მხოლოდ უკვდავი სიყვარულია რომელიც შენ მომტაცე, მომიშხამე... ტანჯული. გგემული შენი ტანქი ხელებით ტანახში ამოსვრილი ჩემი სული ცეცხლის კოცონზე იწვის და... არ ქრება... ბედმა არ ეოფნა მირგუნა... ამიერიდან მე ადარ ვარსებობ დასახული ჩემი „არარაობაა“

წერილი ასჯერ, ათასჯერ წავიკითხე და ვგრძნობდი, რომ თვითეულ სტრიქონის წაკითხვასთან ერთად წყდებოდა სიმები ჩემი სულისა...

უდაბურ ტყეში ვარ.. მტევა... სული მიკანკალებს... თავს ეორნები დამწასვიან...

ششش! კიარიალა ქარმა და სული უფრო მწარედ ამიკანკალდა. ვინატრე სიკვდილი მაგრამ... სად იყო...

დაუწყე ფიცა ფუტით წერილს ძებნა, მინდოდა რთხელ კიდევ წამეკითხნა, მაგრამ ამაოდ—ვერ ვიპოვნე... საშინელი მოჩვენებაა—მეთქი, გავიფიქრე და ვითომ ისევ ჩავიძინე. მშვენიერ ბაღში ვარ, თბილა. იასამანი თავის ქნეგით მიწვევს, არშიყულად მეალერსება...

კუდრაჭა დილის მზის სხივები ცელქად ანიმტიმებდენ გასაშლელად გამზადებულ კეკურს ვარდზე დარჩენილ დილის ნამს... ბეპლები, ჭრელი ბეღლები უდარდელთ დიფრინავდენ... ერთი მათგანი მაგრად ჩაჭიონებია მორტხვ იახ და სწუწნის... რას ერჩის, გავიფიქრე, ალბათ სუსტმა მაზედ სუსტი დაიმონა, ასეთია კანონი ბუნებისა, მივიდე ბასუხად.

მესმის მშვენიერი გალობა, ეს უთუოდ ბულბული უნდა იყოს, ღმერთო ჩემო, რა მშვენიერად უსტვენს, ალბათ დილის მწუხრზე ლოცულობს...

აგერ შაშვმაც ჩაუჭახჭახა თავისებურათ, მინდა დაუახლოვდე, ახლოს დაუგდო ყური, მაგრამ ამ დროს თვალი მოვკარი ნაცნობ სახეს და... შეშინდი. გამახსენდა წერილი, მწარე მოჩვენება ტკბილად შემეცვალა... მიახლოვდება ნაცნობი სახის ანარეკლი. და სიამოვნებით ტოკავს, მომიახლოვდა ნაცნობი. ვიცანი ვინც არის... აი ეს არის მინდა გადავგვიოო, გაგიქვეთ ჩავეკონო, მაგრამ... ამ დროს გამომეღვიძა...

რა კარგია ტკბილი სიზმარი! დღისით ოცნება, დამით სიზმარი—ასეთია ჩვენი ცეოვრება...

გრ. საქარიქედელი

ქართლის ერთგული

ქართველ-კახეთ, ამერ-იმერო,
შრომას ნუ დაიზარებთა:
აქოთებული ქვეყანა
დაანყეთ, დაანყეშარეთა.
სამშობლოს სიტკბო სიამე
არ გადაგვექცეს მწარეთა.
და იმათ გულის ეარას
წამალი დაუარეთა.
მაგრამ თუ საქართველოსა
თქვენ ველარ მოუარეთა,
მაშინ დვთის მშობელს შეეტირებ,
ისევ ის დაგვიფარებს
და მოგვაშორებს მტდურებს,
ხელში მოგვართმევს ფარებსა...
ჩვენც მოგვილოცავს მზის მოსვლას.
ჩვენთვინაც გაიდარებსა.
სტუმარი მოულოდნელათ
მასპინძელს აგდებს გარეთა,—
სტუმრის ამნაირ საქციელს
დმერთი არ შეიწყნარებსა:
იმის ამაგს და ბურ-მარილს
სულ მუდამ გაუარმებსა!..

ვასო აფციაური

ნ ა ზ ა ვ ს ა ვ ლ ი

მზის სიცილის ანარეკლზე
წალკოტს ლიმი აეშალა,
იას გული გადაეხსნა,
ვარდს კოკორი გადეშალა.

*

მრავალ წყებათ აფერადდა
ველ-მინდორი, მზე ნახული,
და ბუნბა მასპინძელმა
სტუმრათ დასვა გაზაფხული!..

მუშა მიხა დეკა

აღდგომა

გოლგოთის მთაზე აღმართული ჯვარი შეინძრა
ჯვარი წამებისა, ჯვარი ტანჯვისა ..
ამაოების უფსკრულში გარდაეშვა მწუხრ-ს
დემონი
და შორს მთებს იქით ამოსრიალდა ახლა ცხოვ-
ვრების სხივ-ელვარე მზე...
მზე სიცოცხლისა, განთიადისა..
მდუმარე ლოდი საუკუნის შეირხა კრძალვით...
საფლავის ჩურჩულს ზედ დააკვდა სამარადისო
ოცნების ეტლი.
და აღზდგა იგი...
აღზდგა სიმბოლო სათნოებისა, დიდი
მოძღვარი მღაღადებელი, დიად აზრების..
და სამრეკელოზე ხმა გაისმა ცხოველ-მყოფელი.
დაითურგნა ბორტება, შური, მტროობა..
სიყვარულის თეთრი ფარვანა შეფრთხიალდა
უწდომ სივრცეში.
იქ-კი, მიწაზე სისხლის ტალღები ბორგავდნენ
და გამძვინვარებულნი კიდეებს, ეხეთქებოდენ
ადამიანის დაუშრეტელი ნება დპყრობით სურ-
ვილს დამონებოდა... და ჰქმნიდა ბოროტს
საქმეებს.
და გაირღვა საქმე... დაიმსხვრა საუკუნოთ
გზა აჭედი კაცთ ბორკილი. და მოევლინა მთის
ფერდოებს ცისკრის შიკრიკი, ამცნო იმედი რომ
აძლევით აღსდგა ბნელ სამარიდან.
—და ვდგევარ ობლად მთის მწერვალზე და
უყივი მხარეს, ჩაგრულთ ბანაკს, მშობელ არეს:-
მკლავი გაშალე საიმედო, მზე ამობრწყინდა,
გული ტოკავს, სული იხარვის.
—შენი მზეც აღსდგა, შენი ნება მრავალ—ტა-
ნჯული,,, ხმა აღიმაღლე.
სხივი მოჰქრის, სხივი ყოფნისა.!.
ბედნიერი ვარ... ლაღი ვარ მე ღღეს...
მინდა სუყველას გარდ-ვეხვიო, გული გაუღო...
—მკვდრეთით აღსდგა ჩემი სამშობლო, მხარე
ტანჯული..
—დღეს აღდგომაა!..
—აღდგომაა დამარხულ რწმენის!..

ს. ტაიფუნი

მე შენთან ვიყვლი

მე შენის ტრფობით ავზეფულს, შეგებამონასსურს,
მზის ოცნებაში დაბადებულს,, მზიურ ოცნებას,''
ვემუსაოთ-მე მწყურია, მე მწყურია, მსურს.
მსხვერპლად მიუძღვნა ჩემი სული ,,მზე ხელოვნებას...

დასხივეულ გრძნობათ ფერადებში ავფრადები,
ჟამის სადგეს ხელთ დაიჭერ, დროს დაიმონებ,
მე შენთან ვიყვლი, ვით შენ დამის შავი ღინდები,
დროთა სივრცეში არა ერთხელ შენ მოგიგონებ...

იწა დადნება მზის სხივებში, ჩვენ კი ორივე
ურთიერთ ტრფობით გადაგდნებით ლეგენდის თემად.
შეგვიყვარებენ, ჩვენს სიყვრულს სტრობს ყოველივე,
მოგლენ ჩვენს ამაე ქანდაკის წინ, თაყვან საცემად...

დ. დოლიძე.

წადი შვილო!

წადი შვილო, ბრძოლის ველზე მოიხადე შენი ვალი.
მტერს თავდამსხმელს, უნდა დახვდე, გაუყარო გულში
ხმალი.
მტერი მოდის, შენს სამშობლოს ის მახვილით ემუქრება,
ამ დროს, შვილო, არ გარგია ვაჟ-კაცს ყურის მოყრუება.

წადი შვილო, სადაც შენი ვალი გიხმობს და გეძახის,
წადი შვილო, სადაც გმირი არას დროს არ დაიძრახვის
გმირს გმირულად მართებს შვილო. თავის თავი
გაიმეტოს
და თუ ბედი კი გიმუხთლებს: დაეცემი სამსხვერპლოზე
სახელს გლახას ნუ წაიღებ(რომ აფურთხონ შენს კუბოზე!
გეევედრები შემისრულო, ჩემი თხოვნა და ვედრება,
თუ არ გინდა გაიგონო ჩემგან მდურვა და ყვედრება;
გასალ-კლდევდი. გმირო ჩემო, და სამშობლო დაიცავი
ის აცოცხლე და მას, შვილო, ანაცვალე შენი თავი,
თორემ მტერმა თუ გიგულა არ დაინდობს შენ სამშობლოს
და ნანგრევად გარდაგიქმის ხურმუხტოვან საქართველოს.
და ის თავის ბინძურ ფეხით გაგითელავს, შვილო, აკვანს
სადაც შვილო შენი დედა გიმღეროდა გრძნობით ნანას!..

იმ ძუძუებს, შენ რომ სწოვდი, მტერი მახვილს გაუტარებს
და ლაჩრულად თუ გადარჩი, მაშინ რაღა გაგახარებს!.
წადი შვილო ბრძოლის ველზე, რომ დაიცვა საქართველო
და ეცადე გმირო ჩემო, რომ სამშობლო ასახელო!.'

თამარა გოგუაძისა

დამჭკნარი ია. (...ს.)

გაზაფხულის პირს, ოდეს გნახე მინდვრად პირველად,—
რბოდი მღიმარე, და ჰკრეფავდი თვალ-ჟუჟუნ იას;
ცელქი ნიავი გიფრიალებდა ქალაღაიას,
და, ვით პეპელა, ნავარდობდი კაცთა მხიბლველად.

შეგხვდი... შემნიშნე... და თავი ძირს დახარე კრძალვით,
მნახე, თუ როგორ ნეტარებით შემოგცქეროდი,
და შენ საქებრად ქარგულ სიტყვებს ვწნავდი, ვმღეროდი,—
მომტაცე გული შეყვარებულს მოგზაურს მალვით.

შესდექ... და შემდგომ გადმოიგდე ია ღიმილით,
— „ჰა, მოგზაურო! გქონდეს ესა ჩემდა სახსოვრად,“ —
მითხარ... და მყისვე წყაროსაკენ დაეშვი, ოჰ, რად?
წახველ... წარიღე ჩემი ფიქრი შვებისა დილით.

მას აქეთ დავალ უგზო-უკვლოდ, გეძებ, ვერ გხედავ;
და ახლა ვეტრფი დამჭკნარ იას წიგნში შენახულს,
ვსტირი დაკარგულ სიყვარულსა, აწ ველარ ნახულს,
მსურს დაგივიწყო სიცოცხლეო, მაგრამ ვერ ვბედავ!..

ს. ერთაწმინდელი



ალ. მიმინაშვილი ბათომის კომიტეტის თავჯდომარე, ბათომშია ტყვედ ოსმალთა ხელში.

ჩემი აღდგომა

ჩემი აღდგომა მაშინ იქნება,
როს თავისუფალს ვნახავ სამშობლოს,
თუ მტერისაგან შევინარჩუბებთ,
ვარდ-ყვავილოვან მოქარგულ მდელოს.

ჩემი აღდგომა მაშინ იქნება,
როს ჩემი ერი განიკურნება,
როს ჩემ სამშობლოს დღეს შავად მოსილს
გულში ჩაიკრავს სულ სხვა ბუნბა.

ჩემი აღდგომა მაშინ იქნება,
როს ჩემს ერს ვნახავ თავსუფალსა;
როს ძმა ძმის სისხლსა აღარ დაანთხევს
და ხმალს ჩააგებს პირ-სისხლიანსა.

ჩემი აღდგომა მაშინ იქნება,
როს განახლდება ჩემი ივერი.
მაშინ აღდგომას მეც გოგილოცავთ...
მაშინ სიამით მეც დავიმღერი...

დ. ზანგანელი

საჩრდილ.

წადი სატრფოვ, მე მოგიფენ ია-ვარდით ბრძოლის გზას
მეუშველე შენს სამშობლოს, ნუ დაჩნევ გულზე დაღსა.
მოიგონე ქართველის ბედი, მოიკრიბე მკლავში ძალა,
თორემ რა ჰგავს საქართველო, კაიძარცვა, შეიტვალა.
და როს გნახავ ომ გარდახდილს შენს მამულში დაბრუნებულს
ჩაგიკონებ მდიმარ სახით, და დაგკოცნი გამარჯვებულს.
და შემდეგ კი ჩემს სამშობლოს მიუღოცავ ნანატრ წუთებს,
მასთან ვეტევი „ქრისტეანდგა,“ შენში ტანჯვა ადარ სუფევს

ზაირა

ვანო გიგოშვილი

მთარგმნელი სახელგანთქმულ თათრულ ოპერეტის ,,არშინ მალ ალან''—სა რომელიც ქართულად ორასზე მეტჯერ დაიდგა, და ახლაც თითქმის ორ-სამჯერ იდგმის ქალაქში თუ პროვინციაში. მანვე სთარგმნა ოპ. ,,მაშდიბადი'' ანუ ეს არ იყოს ის იყოს'' ,,აშული ღარიბი''.

მამულიშვილნო

ახლა, როდესაც მოველოდით ლხინსა და შვებას,
მოძმეთ გვიმტყუნეს ფრთა შეაჭრეს ჩვენს ლალოცნებას,
და კვლავ განიცდის მთელი ერი ფიქრს მწუხარებას,
მამულის შვილნო, დღეს სამშობლო გვთხოვს დახმარებას

მტერი უქადის მას დარბევას და აოხრებას,
ჩვენ ცოცხლები ვართ და ნუ მივცემთ მტერს ამის ნებას!.
თუმც ომის, ბრძოლის ჩვენი რწმენა არის მგოზელი,

მაგრამ გვახსოვდეს რას გვასწავლის ბრძენი ბებელი:
გიყვარდეს ყველა ქვეყნის მუშა, ვით შენიანი,
იყავ ყველასთან სათნო, მშვიდი, თავაზიანი,
და თუ სამობლო შეგილახონ დილა მზიანი
არც შენ დაინდო და ებრძოლე შიშველ-ხმლიანი!

მუშა ზ. ზემოხანდაკელი

ბუზი

შუშაბანდის თეთრ მინაზე მიმკვდარიყო შავი მწერი,
რა ავიღე, ხელში შემრჩა პაწაწუნა ფშვნილი მტვერი.
იქვე ბაღში გავისროლე, მზის სხივიდან ჩამომხმარი,—
ალბად ლამაზ ყვავილებში გაჰფანტავდა იმას ქარი.

და დავფიქრდი... ჩემი თავიც წარმომიდგა თითქმის ასე:
დღეს მფრინავი, მხიარული, მონავარდე, მოკასკასე,
ხვალ კი ცივი, უგრძნობელი, უსიცოცხლო, უხმო, მკვდარი
ფერმიხდილი, გაცრეცილი, საშიშარი, საზიზღარი,
ჭია-ღუა, ქვემძრომები, შავი მიწა, თეთრი კუბო!
და შემშურდა ბუზის ხვედრი, მეც მსურს მისებრ დავიღუპო,
არა! არ მსურს შავ მიწაში გავიხრწნა და დავიგესლო,
ოჰ! მეც მინდა სიკვდილს შემდეგ დავიწვა და დავიფერფლო.

სათვე მგელაძე

პატარა ქართველი ქალის პასუხი

მე რო მკითხავ: „შენ ვინა ხარ, ვის ეკუთვნი,
ჩემო კარგო?
კენში მიე, საყვარელო, ეგები ხმა არ დაკარგო!"
აბა, რა ვქნა მე რა ვიცი: რა არის ცოციალისტი,
ან ეროვნულ დემოკრატი და ან ნაციონალისტი.
მხოლოდ ვიცი ჩემი ერი, ჩემი ენა, ეს ქვეყანა:
ტყე, მდინარე, მთა და ველი, კასპის ზღვიდან შავ
ზღვამდინა,
და კიდევ ვიხოვ მუხლ მოდრეკით შენი ხვედრი
ღვთის მშობელო,
მიეც ძალა აღადგინე, დატანჯული საქართველო!

მზა მელიოვანისა

ჩვენ მივდივართ...

ჩვენ მივდივართ რაზმი-რაზმზე,
ვით ტალღები ამაყ ზღვისა;
ჩვენ გვსურს ჩვენი მტერს არ ვავნოთ;
ჩვენ რად გვინდა აბა სხვისა?!

მაგრამ, ვაი, თუ ჩვენს ვვამებზე
გადმოვიდეს ხარბი მტერი!!??...
მაშინ, ძმებო ჩვენ ვიქნებით
თქვენ—ცოცხლებზე ბედნიერი.

ღრუბელი

ბედნიერი ქალი

გაგრძელება. იხ. „თ. ც.“ № 6

მოქმედება 2

სტენა წარმოადგენს ბამბაშვილის ოთახს. ბამ ბაშვილი სალათშია. ზის სტოლთან და ჩაისა სვამს. ირინე ჩაის ასხამს.

სცენა 1

ბამბაშვილი და ირინე.

ბამბ. ჩვენი გაცნობა, დანიშვნა, ჯვარისწერა სიზმარისაებ ჩქარა მოხდა. მე ჩემს დღეში ესე აჩქარებულად, არას დროს არ მიმოქმედნია.

ირინე ხომ არ ნანობ, რომ ესე აჩქარდი?

ბამბ. ეგ რა სათქმელია, ჩემო სულო, მა გაზე იქვს როგორ იღებ. მე მარტო ის მინდა ვსთქვა, რომ სიყვარული გამოსცვლის ხოლმე კაცს; დინჯს გააცეცხლებს და ცოცხალს გამოაშტერებს. ჩემისთანა თავდარიგიან კაცს ძნელად მოსძებნი ქვეყანაზე, მაგრამ დახე შენს უკან სირბილმა რამდენი საჭირო საქმე დამავიწყა. ცოლს რო ვირთავდი, ჯერ უნდა მომეყვანა რიგზე შენიც და ჩემიც საქმეები.

ირინე არ მესმის, რა საქმეებზე ლაპარაკობ?

ბამბ. ადრევე, ქორწილამდინ უნდა გვეფიქრა რით და როგორ ვიცხოვროთ. აი მაგალითად, შენ რაღაც ვექსილი გაქვს, ის უნდა გამოიცვალოს, შენ სახელოხაზე უნდა დაიწეროს, ან არა, შენ მამის მემკვიდრეობა უნდა დაიმტკიცო. შენი მამის ქონება რიგზე უნდა მოვიყვანო. ვალები ხომ არა გაქვთ. ესეც მინდა გავიგო. მამული თქვენი რამოდენაა? შენ დედას რჩება ქონება თუ შენ სახელობაზეა. ესენი როგორ არ უნდა ვიცოდე?

ირინე მიკვირს, რომ ეგენი აქამდინ არ იცოდი. ცუდათ მოქცეულხარ, რომ შემირთე და არ გესმოდა კი ვის ირთავდი. უნდა გცოდნოდა ჩემი სიღარიბე, ჩემი ვალები,

ბამბ. აკი ვამბობ, სიყვარულმა დამაბრმავა მეთქი.

ირინე მაგრამ არა გიშავთ რა, თუ ნანობთ რათ შეგირთეო ღარიბი ქალი, კანონის მცოდნე ბრძანდებით, ეცადეთ გავეყარნეთ ერთმანეთს. იშოვნეთ ჩემზე შეძლებული ქალები! ბევრი ნაცნობი ვაჭარი ხომ გყავთ.

ბამბ. ცუდ ფეხზე ამდგარხარ, ირინე. მე საჩხუბრად არ დაგიწყე ლაპარაკი, ან რად ივონებ შენ თავზე ჭორებს. რათ იქნები ღარიბი, იმისთანა ვექსილის პატრონი! მდიდარი უნდა იყო, მდიდარი!

ირინე იქნება იმ ვექსილისათვის შემირთე?

ბამბ. ღმერთო, რა ლაპარაკი გაქვს! მაგისთანა საძაგელი აზრები, მიკვირს როგორ მოგდის თავში!

ირინე მე კი შემეშინდა. იმ ვექსილისათვის რომ გეთხოვე, ჩვენ უნდა გავყრილიყავით,

ბამბ. რა არის, ქალო, არ მესმის შენი ლაპარაკი?

ირინე ის მინდა ვსთქვა, რომ ის ვექსილი ტყუილი ვექსილია, და თუ იმისთვის მითხოვე ჩვენი ქორწილი ტყუილი უნდა იყოს.

ბამბ. რას მიქვიან ტყუილი ვექსილი? შენი ლაპარაკი მაკვირვებს ირინე.

ირინე ჩემი მამისთანა ლატაკს ძნელათ მოსძებნიდით მთელ უეზდში; იმას ათასი თუმანი კი არა, ათასი გროშიც ენატრებოდა სხვისაგან იღებდა ვალებს, თორემ თვითონ კი სხვას ვერაფერს აძლევდა.

ბამბ. მაშ ამასწინდელი ვექსილი?

ირინე ამას წინად რომ გიჩვენეთ ვექსილი, ხუმრობით მომცა ფეთიანიძემ, რომ ღარიბათ უჩვენოს თავი მხარგელაძეს. მხარგელაძე მოსვენებას არ აძლევდა სოფიოს, გინდა თუ არა შემირთეო, და რაკი ნახა ეს ტყუილი ვექსილი, მამისაგანა და ქალისაგანაც ხელი აიღო. ამ ვექსილის მაგიერ ფეთიანიძემ აიღო ჩემგან ვექსილი იმავე სუმისა.

ბამბ. გეყოფა ხუმრობა, ირინე.

ირინე მე არ ვხუმრობ, არა. რად გაყვითლდი ეგრე? სრულებით დამავიწყდა ეს ამბავი მეთქვა შენთვის, როცა პირველად ეს ვექსილი გაჩვენე. არ მეგონა იმ ვექსილისათვის შემირთავდი.

ბამბ. ყელი გამომჭერ რაღა, მაგრამ ეგრე უბრალოთ არ ჩაივლ ს ასეთი თვალთმაქცობა.

ირინე თუ მოვინდომეთ ამ ვექსილის სასავართლოში წარდგენა, ის ქვეყანას ფეხზე დააყენებს, სამსახურიდამ გამოგაგდებინებს, თავს მოგეჭრის ყველგან და არც ერთი გროში არ გვერგება ჩვენ მაგ ვექსილით.

ბამბ. არა, მე, სუდია მაგ ყალმაყლამდინ

არასოდეს არ მივიყვან საქმეს. სხვა არა იყოს რა, ფეთიანიძე ჩემი კარგი ნაცნობია და შენი ნათესავი, მაგრამ ის თამასუქი მაინც შეინახე, გამოგვადგება. გაჭირვების დროს თუ დაგვივიწყა ჩვენმა კარგმა ნაცნობმა და ნათესავმაუ. ფეთიანიძემ გაჭირების დროს ვინ არ დაგივიწყებს. ჩვენ შეგვიძლიან გავყიდოთ ეს თამასუქი. სხვა? გაქვს შენ მამული თუ არა?

ირინე საკვირველი კაცი ყოფილხარ, ღმერთმანი, რო მირთავდი, განა არ იცოდი, როშ არაფერი არა მაქვს? დედას აქვს ოციოდ დღიური მიწა, იმასაც ამ დღეებში გაუყიდიან ვალებში.

ბამბ. (თავისთვის) ახალი ჭირი, დასწყევლოს ღმერთმა! დღეს თუ ჰკუიდან არ შევიშალე, გამიკვირდება (ირინეს) ქალო მოემზადე, ამ სახლს თავი უნდა დავანებოთ, ეს ხავერდი, ეს მებელი სულ უნდა გავყიდოთ, გლახები ვართ და გვმართებს ქოხში ცხოვრება. (გადის აჩქარებით.)

სცენა 2

ირინე მარტო

ირინე. რა საცოდავ მდგომარეობაში უნდა იყოს ჩემი ქმარი! დარწმუნებული იყო რომ მდიდარი ქალი შევირთეო, გავდიდკაცდიო, ზეცას აფრინდა და უეცრად კი გამოჩნდა, რომ დარჩა პუპუს! მდიდარი კი არა, ლატაკი ხალხი აიკიდა ზურგზედ! თითონ არაფერი არ შეიმატა და ეხლა თავის ვაი-ვაგლახით ნაშოვნი ქონება კიდევ ორ სხვას უნდა გაუნაწილოს. სწორედ საცინელიც არის და სატირალიც. იმის მდგომარეობა! თილისმის ხანი მაგონდება. ხარაზს რომ ხანად გახდიან ხუმრობით, მერმე დააძინებენ და როცა გამოიღვიძებს, აღარ სჯერა ისევ ხარაზი ვიყოო. რა საბრალოა, რა საცინელი ის იმ დროსა! მაგრამ ვისი ბრალია? ის დალოცვილი ჯერ რიგიანათ გაიგებდა რა ქონება მაქვს და მერე ისე დაიწერდა ჯვარსა. რიგიანათ რომ ეკითხნა ჩემ ქონებაზე, მე იმ თამასუქს არ უჩვენებდი, არასოდეს! მე ხუმრობით ვუჩვენე თამასუქი და ის სულ გადირია, აღარაფერი არ იკითხა ეს არის გათავდა, მეორე მირზოევი გავხდიო. ეხლა ესეც ვკითხოთ: შე საბრალო გლახავ, ლატაკო აზნაურის შვილო, უგვანო ბებერო, რათ გეგონა, რომ მდიდარი, ლამაზი ქალების პატრონები შენთვის გაგიჟდებიან? ქვეყანა ხომ ეგრეც არ აოხრებულა, რომ შენისთანა უკბილოები ოქროთ იფასებოდნენ. რით მოსტყუვდი? არ უნდა მოსტყუებულიყავ და რაკი მოსტყუვდი, თავში ქვა იხალე! სამართალი თუ გინდათ ეს არის!

სცენა 3

ირინე და ფეთიანიძე.

ფეთ. (შემოვარდება, შესძახებს ირინეს) ბამბაშვილი მინდა, ბამბაშვილი!

(ირინე თავისთვის.) აჰ! ნეტავი გავეპარაო ამ გიჟს! სურს გაგიჟდეს.

ფეთ. რა უყავი ქალო, მოპარული სასიძო, მიჩვენე სად არის. ვნახოთ, რა პირით მეჩვენება. შენც ხომ გიხარიან, რომ მოგვჭერი თავი ქვეყანაში! ნეტავი ნათესავი მაინც არ იყო. გველის წიწილს რომ გაიზდიან გულზე, სწორეთ ის დაგვემართა,

ირინე ტირილის ხმით. ოჰ, ძიავ, თქვენც მე მაბრალებთ. ობოლ-ოხერი ქალი ვარ. როგორ გამეგდო სახლიდან კაცი, რომელიც მოვიდა ჩემ დასახსნელათ. სოფიო ის უბედური არ იყო, რომ იმის მეტი სხვა საქმრო ვერ ეშოვნა. მე, კი, უბედური, ძლივს ერთს შევბრალდი. როგორ უნდა მეთქვა ამისთანა კაცისთვის: მე ნუ მოგწონვარ, სხვა მოიწონე·

ფეთ. ტყუილად იწუხებ თავს, ტყუილად წუწუნებ, მაგით შენ ეშმაკობას ვერ გაამართლებ: ყელი გამოგვჭერი: ბამბაშვილმა თუ დაიწუნა ჩემი სოფიო, ვიღამ უნდა შეირთოს ის, ვიღამ?

ირინე იმ გვარადვე. აჰ, რას ბრძანებთ. თუ გნებავთ, დღესვე გავაბედნიერებ სოფიოს... მხარგელიძე მზათ არის. განა რომ მდომოდა თქვენთვის ცუდი, თქვენგან მოცემულ ტყუილ ვექსილს არ შევინახავდი? ხომ შემეძლო მეჩივლა, იმითი ფული ამეღო და თქვენ გლახათ დარჩებოდით. მე კი ათასი თუმანი მექნებოდა მზითვათ და ბამბაშვილს აღარც კი ვიკადრებდი!

ფეთ· ეგლა გაკლდა შენი თავის მზემ, კარგი რამ კი დაგემართებოდა ჩემგან

ირინე მე თქვენ შინაურ საქმეებზე ბევრი ცუდი რამ შემეძლო მეთქვა საზოგადოებაში და ყველა დაიჯერებდა, თქვენ ანგელოსი

არ ბრძანდებით და ამის გარდა თქვენი ნათესავი ვარ, თქვენსა გავზდილვარ დამიჯერებდე უეჭველად.

ფეთ. აი მადლობის გადახდა და ნათესაობა სწორეთ მაგნაირი უნდა!

ირინე არა ნუ გგონიათ, რომ მაგის ჩამდენი ვიყო. მე ძალიან მსურს გიჩვენოთ, რამდენი სიავე შემეძლო მომეყენებინა თქვენთვის, მართლა რო თქვენი მტერი ვყოფილვიყავ.

ფეთ. საჭირო არ არის ეგ თავის გამართლება! აშკარათ მომპარე სასიძო, ჯოჯოხეთის მაშხალა. აჰ ნეტა ის შენი პატრონი ქმარი ვნახო თავზე ლაფი დავასხა, რომ ჩემი სოფიო, ჩემი ლამაზი სოფიო გასცვალა შენისთანა გომბიოზე. სურს გავიდეს.

ირინე მიაძახებს. რამდენიც გნებავთ გამლანძღეთ. მერმე კი შეგრცხვებათ, ბოდიშს მოიხდით. ჩემი სიკეთე თქვენ ჯერ არ გესმით, სოფიო გამომიგზავნეთ სოფიოს გავაბედნიერებ.

ფეთ. ჯადოს მოსცხობ კუდიანო! თავისთ ჯანი უნდა გაგვარდეს და სოფიო კი უნდა გაათხოვო! შენ წაართვი საქმრო, ეხლა სხვა უშოვნე, თორემ არ დავინდობ შენ კეკლუც თავს, სულ ცხვირ-პირს ჩაგიმტვრევ. სოფიოს გამოვგზავნი. გადის.

სცენა 4

ირინე და **მხარგელაძე** შემოდის სხვა კარებიდ

მხარ. გამარჯობა, მოღალატევ! თქვენ, იმალებოდით, მაგრამ მე მაინც მოგაგენით.

ირინე დამალვის მიზეზი არა მქონია.

მხარ. რა ვიცი გამომექეცით კი, პასუხის მოცემის მაგიერ. მეც გამოვფრინდი ქალაქს, მეგონა აქ მაინც მივიღებ მეთქი პასუხს, მაგრამ პასუხის მაგიერ შევიტყე თქვენი ჯვარის დაწერა. ვინ იფიქრებდა, რომ თქვენც მიღალატებდით!

ირინე. ეგ თქვენი სიტყვები, ღმერთმანი, მე ძლიერ მაკვირვებენ. თქვენ ყოველთვის თავს ევლებოდით სოფიოს და მე გამომიცხადეთ სისიყვარული მხოლოდ მაშინ, როცა სოფიომ გაგაფუჩუკიანათ. ფუჩუკიანობას, თქვენც მოგეხსენებათ, დღეგრძელობა არა აქვს, თქვენ უეჭველია კიდევ გიყვართ სოფიო. გზას გილოცავთ, მდიდარი ქალია, კარგათ იცხოვრებთ.

(დასასრული იქნება) გ. ი. უმანიშვილი

მომავლის რწმენა

დრო მოვა, ჭექა, ქუხილი
და რისხვა ცისა წყრომისა,
ვაება, ჰმუნვა, წუხილი
მსოფლიო ბრბოთა ომისა,
შთაინთქმის, მთლად აიგვება
და, ნაცვლად ვერაგობისა,
სიმართლე ამობრწყინდება,
ტახტი დაიდგმის ძმობისა.

მაშვრალნი წმიდა შრომითა
და მოყვარენი სიმშვიდის,
სინათლის, თავისუფლების
დროშას აღმართვენ დიდების.
ჩაჰქრება სისხლის ზღვის დენა!..
ლტოლვა სიმტრისა ჩაჰქრება,
სისხლის თარეშით ვაჟკაცთა
აღარ იქნება დიდება!

იქნება მხოლოდ დიდება
კეთილთა საქმოვნებისა,
ვაჟკაცთ შეჰფერის ქებანი
მაღალთა აზროვნებისა.
და, სადაც დაბრმავებული
ძმა ძმასა ჰკლავდა არადა,—
ერნი ხარობდნენ სისხლითა,
ფოლადს ხმარობდნენ ფარადა,

სიყვარულისა მცნებანი
აღსრულდებიან კვალადა
მინდორში სავსე თავთავნი
გულსა მოგვიდგვენ ხარკადა,
მხნე გუთნის დედა ლალადა
კვლავ შეჰკაკანებს ველადა,
თავისუფალი ქვეყანა
შეიმკვის მრავალ ფერადა.

ი. ფაგლენიშვილი

საქმა სიკვდილ გიქმა ყაბი

სცენა.

საქმა. კიქო! ეს რა დგთის რისხვა დრო დადგა და?!—ზოგნი დვინის მაგიერ ფუდებსა სვამენ, ზოგნი კიდევ ნამტეცებს ეძებენ, რა არი მუცელში რამე ჩაგყარო, რომ მარცხენა ფერდი მარჯვენას არ მიეკრასო.

გიქა. დვთის რისხვა დრო კი არა, და მეორედ მოსვლის დროა. არა და, რომ არ გვჯერდა ჩვენი გრიქულ ლუსაოჩის ნაქნარი წერილობა, ვერ ასრულდა! (პირჯვარს იწერს) ტერ ასტვაწ, ტერ ასტვაწ!

საქმა. ვის არა სჯერდა? ყოველ დღე ნახვარ გირვანქა სანთელს უნთებდი. საცა იმან ჩვენ ტირდატას დორის ეური კამოაბა, განა იმის სიტყვები ტეუილი იქნებოდა?! (იწერს პირჯვარს) ტერ ასტვაწ, ტერ ასტვაწ!.. (ბიუზა.) არა და! ასეთი უნამუსობაც იქნება? იძახიან: სდაბოდნობაა, სდაბოდნობაო! რის ეშმაკის სდაბოდნობაა, რომ მე ბაჩუტნი გრაკლანინს ოცდა ათი წელიწადი რაც დვინოთა ვვაჭრობ ნამუსიანათ, ჩესტნათ.—ახარ ორი მენდალდიცა მაქვს, ნიკალაისა და ალექსანდე ტრეტისა. ერთ ფალშობაში ვერაფის დაუჭერიგარ, ისე აკურატნად მქონდა საქმე დაუენებული. კამოსულან ეს ოხრები და მეუბნებიან: დვინის ვაჭრობა არ შეიძლება ამბანაგოგო! ახარ ჭიჭინაზე ვსკდები რადა! ტო ახმახ! ჯერ ერთი მითხარ, თუ ღმერთი გწამს საქოჯან: რომელი ჩემი ამბანაგები არიან? ბური მიჭამია იმათთან ერთად, დვინო დამიდევია, თუ ორთაჭალაში ცხონებულ ჭინკასთან, კიკალია მეზურნესთან ერთად გვიქეიფნია და ბალდადური გვითამაშნია!..

გიქა. ეგა სოქვი და!. გუშინ ერთი გაწკეპიდი შამაის უიდის ქალი მოსულა ჩემთან. ახლა რას მეუბნება და! (აჯავრებს.) შენ ათვანიკო! მე უსათუოდ ყოველ დღე ხორცი უნდა შემინახოგო! სუქანი იყვეო. იცი მე ვინა ვარო?! ბაბ კამოიცანვინა ვარო? დათან იდრიჯება. კატო გული გამისკდა, ღმერთი ხომ არ გაუწყრა და ისევ ბრისტაგები ხომ არ დაუსვამთ და ეს იმისი ცოდი ხომ არ არის მეთქი!. წინად ისე იცოდნენ ხოდმე. უკატრავთ ქალბატონო! მე არ ვიცი ვინა ხარ მეთქი? მე რომ ყველა ვოვალო ვინც ჩემთან ხორცის სასუიდლად მოდის მეთქი, მაშინ ჩოთქის შაშკებიც არ მეყოფა და ტვინიც კამოიხადება მეთქი!

—ჯერ ერთი მე ქალბატონი არა ვარ, მე ამხანაგი ვარ!

ვიძახი: კატო, რას ჩამატივდა ეს ოხერი, თან აქეთ იქეო მიგიხედე ჩემი თაქოა ხომ ეურს არ მიგდებს მეთქი! აბა მაშინ იქნებოდა სეირი ჰა! (იცინის.)

საქმა. მერე სთქვა ვინა ვარო?!

გიქა. როგორ არა სთქვა! ჩვენი სტარში მილიციონერის ცოდი ეოფილა?

საქმა. რა კინდა, მაინც ბოდიციელის ცოდი, ეოფილა, კინდა აკადრინიკი დაეძახე, კინდა სტარში მილიციონერი. კინდა კახიე, კინდა კაფხარიწე ორივ ერთი ჩორტი არ არის? არა და?! მე კიდევ ჩემი ჯაგრი მაწუხებს. კატო! თუ დვინის ეიდვა კეიდვა არ შეიძლება, ახარ კეუშვი ნურავინ ნუ კაჰეიდის. ეს ზაკონია!? მე ნამდვილ სირაჯს, რომელსაც ჭიბი ამ ხელობაში მოიჭრია—მიშლიან და ვინ არ კინდა, რომ არა ჭეიდდეს: საპოლიკი, ხარაზი, ხურო, დურგალი, სლესარი, მეწყრიმალნე, მეხაშე, მეპურე და ღმერთმა არ იცის იმათ თავი ვინ აღარა ჭეიდის. არ დაიჯერებ? ამობენ მოდისტკა ქალებიც კონიბაკებს ჭეიდიანო! კატო მაშ, მე ცოდვა არა ვარ? ჩემი ქულფეთები ვინ უნდა შეინახოს და!?

გიქა. ეგა სთქვი და! ეს ოხერი რა უბედურებაა და! ის ფერანა ფულის მჭრელი მაშინა ვერ გაცვდა! კატო! რათ უნდა ეს ოხერი ამოდენა ქალა დდის ფული, რომ კასავალი არა აქვს: ჯერ იყო და იმ ცეტ კერენსკის ბრაკეტორის დენტის აიდის მარკები კამოუშვეს. ვაი, იმ მუშათბას რომ ისინა კადოდა და კადის. ახლაა და ეს კეჩკორის ასიგნაციები გამოვიდა. ვა, ორი დღეა, ათ თუმნიანის დახურდავება მინდა, არავინ მიხურდავებს, ნახეკარს მოგცემთო, მე კი ახმახმა ათ თუმანში ავიდე. არ ვიცი რადა, არ ვიცი ჩვენი ბატრონი ვინ არის. ძაღლი ბატრონს ვეღარა სცნობს...

საქმა. აი, შავ და უკუდმა ეს დრო? ნ-ი საათი ხდება კარში ვერ კამოსულხარ. თითქო კი, ტრი იყო ან დაეე საზამთრო ისე კაკაკორებენ..ეჰ, მახლას! ვკონებ ღმერთსაც ხელი აუღია ჩვენზე ოორემ ბრავიტელსტვოს ვიდა სხიგის!.. რა დრო ება კაკვიფრინდა. ისევ წავიდეთ და ჩვენ კრიკორ ფუსავერს სამოელი დაუნოოთ, ეგებ კარგი დრო გვადიოსოს! (გაიცინ.)

სანდრო ბაქრაძე

შრომის სამეფოში

(დასასრული. იხ. № 38. 1917)

ქ. „№“-ს მოშორებით, ერთ ყრუ ქუჩა ზედ, დიდი შენობაა. ეს შენობა უდაბნოს მოგაგონებსთ, იფიქრებ, აქ ადამიანიც არ სცხოვრობსო. რავდენიმე სართულიან ქვის შენობაში ვიწრო რკინის ფანჯრებს შეამჩნევთ. შენობას ირგვლივ ქვისავე გალავანი არტყია. გალავნის გარედ თოფიანი დარაჯი დადის; გალავნის ვეებერთელა რკინის კარებთანაც დარაჯი სდგას; შენობის სამხრეთით კი მოჩანს ქალაქი, რომელიც გაშენებულია გორაკებს შუა; დასავლეთით შენობას, რავდენიმე საჟენზე, ჩაურბის მდინარე, აღმოსავლეთით-კი თვალუწვდენი ველები, ჩრდილოეთით დაბურული ტყეები, შორს თოვლით მოსილი მაღალი მთები...

და შენობა იგი იყო ბევრ ცოცხალ-მოაზროვნე ადამიანთა სამარე...

ზამთრის საღამო იყო. დედა მიწაზე გაყინულ თოვლს კიდევ ემატებოდა. ხანდისხან სუსხიანი ქარიც ჰქროდა. ქალაქის ქუჩებში აღარავინ სჩანდა. თითქმის სიწყნარე ჩამომდგარიყო. ყველანი თავიანთ ბინებში დახიზნულიყვენ, მხოლოდ ხანდისხან თუ გაივლიდა ჩქარი ნაბიჯით მგზავრი, ან მარხილი გაისრიალებდა და მიიმალებოდა.

ხუთი საათი იქნებოდა, როცა სადგურ №—დან მომავალი „ეტაფი“ გამოჩნდა. ქუჩა აახმაურა ბორკილთა ჟღარუნმა. დაღლილნი ჯარის კაცნი ირგვლივ შემორტყმოდენ სამოცამდე დაქანცულ ტუსაღს და მიეშურებოდენ. თოვლისაგან ყველა გათეთრებულიყო, ფეხებს ზანტად მიაბიჯებდა... სრული სიწყნარით და დაღონებული სახით მიდიოდენ. ტუსაღების უმეტესობა გამხდარიყო, ზოგიერთების სახეს მიცვალებულთა ფერი ჰქონდა: მათ სიწყნარეს კი მხოლოდ ბორკილები და ხრინწიანი ხველა არღვევდა...

ისინი მიდიოდენ... მიდიოდენ თავჩაქინდრულნი და მოწყენილნი. მათ შორის დედაკაციც იყო, სახე გაყვითლებული, ჩამქრალი თვალებით და ძვლებათ ქცეული; მას თავბირი შეხვეული ქონდა და თან ახველებდა... რავდენიმე საათის შემდეგ ისინი დიდ შენობას მიუახლოვდენ. შენობის რკინის კარები გაიღო, ტუსაღებმა სევდიანათ გადაავლეს თვალი შენობას და შიგნით შევიდენ, ვინ იცას სიდან საით მიჰყავთ; აქ დროებით დარჩებიან, რადგანაც ეს საგუბერნიო მთავარი ადგილია, სადაც მიღებულთ, შემდეგ სხვა ეტაფს უერთებენ და გზავნიან დანიშნულ ადგილისკენ. აქ შეიძლება დარჩენ ტუსაღები რამდენიმე დღით, მხოლოდ არის შემთხვევა, თვეობითაც რჩებიან.

დედაკაცი პატარა კამერაში შეიყვანეს, სადაც რამოდენიმე ტუსაღი ქალი იყო. ახალი სტუმრის მისვლა ტუსაღებს გაუხარდათ. აღნიშნულ ღამეს მისულმა დედაკაცმა მთელი ღამე ხველით გაატარა, ეტყობოდა გადაშენების გზას დასდგომოდა.

—საიდგან მოდიხართ? შეეკითხა მას ერთი ტუსაღი ქალი.

—სამხრეთიდან. უპასუხა.

—ქართველი ხარ?

—ქართველი.

—რას გეძახიან?

—აღარც მახსოვს. ისე კი ოდესღაც ოლიას მეძახდენ.

—აქ დარჩები ჩვენთან ციხეში?

—არა, ციმბირისაკენ მგზავნიან.

ტუსაღები ჩაფიქრდენ.

—რისთვის გგზავნიან ციმბირში? ცოტა ხნის შემდეგ კვლავ შეეკითხა

—არც მე ვიცი, მგზავნიან...

—როგორ არ იცით, ალბად დანაშაული გექნებათ რამე?

—არა, რა დანაშაულობა, ქურდი არ ვყოფილვარ და ზნე-დაცემული.

—რავდენი ხანია ციხეში ხარ?

—წელიწადს ცოტა აკლია

—რა გაეწყობა! ნაღვლიანათ სთქვა მოსაუბრემ და გაჩერდა. საკანშიესიჩუმე ჩამოვარდა.

გაიარა რამოდენიმე დღემ და სტუმარი. ოლია ტუსაღ ქალებს შეუყვარდა. მთელ დროს ცივ-ბნელ საკანში ჩვეულებრივ ციხის ცხოვრებას ეწეოდენ მეგობრები. მართალია, ოლიას დიდი ხანია, რაც ერთი კაპეიკი არ გაა-ყ

ნდა, მაგრამ მეგობრები, თუ კი რამე ქონდათ ოლიას არ აკლებდნენ. ცხოვრობდენ ასე... მაგრამ რამოდენიმე თვის შემდეგ ოლია თანდათან დასუსტდა და იგი ციხის საავათმყოფოში გადაიყვანეს.

გაზაფხულის დილა იყო, ჩრდილოეთ კავკასიის მთის ნაწილები, ხავერდოვან ფერადებით შემკული ამაყად დაჰყურებდა ქალაქ №—ას. ბუნებით მოქარგული ქალაქიც აყვავებულ ამწვანებულიყო და გაზაფხულის დილასაც თავისი ზევსური მშვენების სახე მიეცა მისთვის... მდინარე თერგის შხუილი, ფრინველების გალობა და მოკამკამებული ცის ეთერიც ადამიანზე თავისებურ გავლენას სტოვებდა. შორიდან კი მოსჩანდა ყინულით მოსილი კავკასიის მაღალი ქედები, რომელიც სილამაზეს აძლევდა მთელ პატარა კავკასიის ქალაქ-სოფლებს, ტყე-მინდორ-ველებს... ახალი ამოსული მზეც უხვათ აფრქვევდა თავის მოელვარე სხივებს და ოქროს ფერად აზურმუხტებდა მშვენიერ მხარეს. იღვიძებდა ხალხი, იღვიძებდა ბუნება და ხარობდა...

მოწყენილ ციხის საავადმყოფოშიც მზემ იწრო ფანჯარაში მკრთალად შეანათა და ტუსაღ ავადმყოფებს გაზაფხულის დილა მიულოცა... ავადმყოფებმა მაღლა რკინებიან ფანჯარას გადახედეს, მზის სხივებს სევდიანათ თვალი გადაავლეს და ზოგიერთ მათგანს ცრემლები მოერია.

—ჰჰჰ! ჰე!.. იჰ!.. ჰო!.. ჰე!.. კვნესოდა ძვლებათ ქცეული, სახე ჩამქრალი, სიცხისაგან გონება დაკარგული კუთხეში მწოლარე, აჩრდილათ გადაქცეული ოლა... მას უკანასკნელი წუთები დარჩენოდა ამ ქვეყნათ... საბრალოს თმა უშნოთ აშლოდა, მისი ოდესმე მომღიმარი ბაგეები ნაცრათ ქცეულიყო, სანთელივით ჩამომდნარიყო. სწუხდა. თავს აქნევდა. ღონე მიხდილი ფეხებს ანძრევდა, ხან პირს აღებდა, ხან ლაპარაკობდა, მაგრამ არავის ესმოდა მისი ლაპარაკისა. ხან ფანჯარას გადახედავდა. მზის სხივებისაკენ ხელებს აიშვერდა. გრძნობდა გაზაფხულის მოახლოვებას. ფანჯარაში შემოფრენილი მზის სხივები კი ეალერსებოდა მის გამხმარ პირისახეს.

ამ რავდენიმე დღის წინედ ოლა გრძნობაზედ იყო, ლაპარაკობდა, წერილებიც მისწერა ამხანაგებს. სწერდა: „თქვენ იცით ქარხანაში როგორ მოაწყობთ საქმეს!.. იცოდეთ საქმით უნდა დაამტკიცოთ მუშა ქალებმა გამოიღვიძეთ“ და სხვა. დედასაც მისწერა. ოცნებობდა კიდეც: ადრე მოვრჩები, ისევ გამოვცოცხლდები და გავსწევ ციმბირისაკენო. მას ათასგვარი მოგონება ეშლებოდა თვალ წინ.. მოსვენებას არ აძლევდა თავისი თავგადასავალის აჩრდილი: მოსამსახურეობა, სიმშილი,-ქარხანა, ბრძოლა და „ეტაპებში“ მოგზაურობა.

—ნეტავ აწ ვნახავ ჩვენს სოფელს? ვიხილავ ჩემს საშობლო მხარეს? განა მოვესწრები, დედას, და-ძმას?! კვლავ დავეხმარები ამხანაგებს საერთო საქმეში? ნეტავ რას მტყვის დედა.-გამიწყრება. სად იყავი ამდენ ხანსაო? ასე ეკითხებოდა ოლა თავის თავს და დამდნარ ლოყებზე ცრემლი ედინებოდა. გაახსენდებოდა ყოველივე და ცრემლ-მორეული ნაღვლიანათ ამოიოხრებდა: არა, მე არ ვარ დამნაშავე! ვინ იცის, იქნებ აღარც ცოცხალი არიან!! არა აწ მე ველარ ვნახავ სამშობლო მხარეს! ველარც დედას, დას ძმას! ვერც ჩემს ლარიბ ქოხს!..

ველარც ამხანაგები მეხილავენ თავიანთ შორის!.. მიმეწქარებოდა, მაგრამ ველარც ციმბირს ვიხილავ! ველარ მივაღწევ!..

დილის ხუთი საათი იქნებოდა, როცა მერდოგეებმა უბრალო კუბო დროგზე დასდგეს, ცხენებს შემოსძახეს და დროგმა შემაწუხებელი ხმაურობით გასწია ქალაქს გარეთ...

დილა კი სევდიანი იყო... მზესაც აღმოსავლეთის კიდურიდან თავის სხივებით აღარ გადმოუხედა დადუმებულ მხარესათვის... აღარც დილის ჩიტუნების ტკბილი გალობა გაისმოდა არე-მარეში. ველარც დილის სიო სისინებდა და ცაც შავი მანდილით მოსილიყო...

დროგი კი მიეშურებოდა და მის ხმაურობას მდინარე თერგის დამაღონებელი ბუტ-ბუტი უერთდებოდა.

—ვინ უნდა იყოს ბიჭო, ეს დედაკაცი? შეეკითხა ერთი მედროგე მეორეს.

—ციხის მსახურმა გვითხრა ქართველიაო. უპასუხა მეორემ:

—აქ რა უნდოდა?

—ციმბირში გაგზავნილი ყოფილა და ველარ აუტანია!..

ისინი ჩაფიქრდენ და ჩაფიქრებულნი გაუჩნარენ სასაფლაოსაკენ...

ქ. პიატიგორსკი.
1915 წ. თებერვ.

ა. ჟუჟისშირელი

წვრილი ამბები

ქართ. მსახიობთა კავშირის დრამატ. დასი ნაადგომევს დაბა-სოფლებისკენ გაემგზავრება „არშინ მალ ალანის" წარმოსადგენად.

ქართული ლატარიის (უნივერსიტეტის, და მსახიობთა კავშირის სასარგებლოდ) ბილეთების ბეჭდვა შეჩერებულია გაფიცვის გამო. გამგეობა ყოველნაირად ცდილობს ბილეთები ადრე დაბეჭდოს. მისი თხოვნით, საქმეში ჩაერია შრომის სამინისტრო და ბეჭდის საქმის პროფესიონალური კავშირი. ბილეთი საუცხოო სახისაა, ძველი ქართული სტილისა, წარწერა ქართული, რუსული, თათრული და სომხური.

ამიერ-კავკასიის დემოკრატიულ - ფედერატიული რესპუბლიკის დამოკიდებლობა გამოაცხადა სეიმმა აპრილის 9. ე. ბ. გეგეჩკორის მთავრობა გადადგა.

ახალი მთავრობის შედგენა მიენდო აკაკი ივ. ჩხენკელს. ა. ჩხენკელმა უკვე შეადგინა მთავრობა: აკ. ივ. ჩხენკელი—ვეზირთა თავჯდომარე და გარეშე საქმეთა ვეზირი, ნ. ვ. რამიშვილი—შინაგან საქმეთა, სამხედრო-საზღვაო—გრ. გიორგაძე, მიწად მომქმედებისა—ნ. ი. ხომერიკი. ფინანსთა—ა. ი. ხატისოვი, სახალხო განათლებისბ—ნ. უ. უსუბეკოვი, მიმოსვლისა—ხ. მელიქასლანოვი, სჯულმეტყველებისა—ფ. ხოისკი, სასურსათო—ა. ი. საკიანი, ვაჭრობა-მრეწველობისა მ. გ. ჰაჯინსკი. შრომისა—არ. ერზინკიანი, რ. ნ. კაჩაზნური სახელმწიფო მეთვალყურე—ი. ჰაიდაროვი,—სულ ცამეტი. აქედან: სოციალდემოკრატი—5 (მათში 4 ქართველი), მუსავათელები და მუსულმანთა სოციალისტური კავშირი—5, დაშნაკელები 3.

საზავო მოლაპარაკება ოსმალეთან მალე განახლდება

კახელებმა ბათომთან ბრძოლაში დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინეს და თავი ისახელეს: ჩასაფრებულ-გამაგრებულ მოწინააღმდეგებზე იერიში მიიტანეს და საფრთხეში ჩავარდნილი ჩვენი რაზმი უეცველ საფრთხეს გადაარჩინეს.

„**თეატრი და ცხოვრება**"—ს ომიანობით გამოწვეულ საარაკო სიძვირის გამო დახმარება ეჭირვება. შემოწირულებ რედაქციის სახელზე უნდა გამოგზავნოს.

„**უცხო სიტყვათა ლექსიკონი**" იოსებ იმედაშვილისა, თითქმის სულ დაიბეჭდა (ციტა ლა აკლია). ძლიერ მოკლე ხანში გამოვა.

შეწირულება „თეატრი და ცხოვრების" სასარგებლოდ შემოწირულება მივიღეთ: 1, სპირ. ოთ ბენლუქიძისაგან—500მ. 2, სასტუმრო-სასადილოთა კრების წევრთაგან—1350მ. 3, ივანე დიმ. მამუჩიშვილისგან **შეკრებილი-850მ.**

შემომწირველთ გულადად მადლობას გუძღვნით. რედ.

„თეატრი და ცხოვრება"

წლიურად 15 მან., ნახევარი წლით 9 მან. თითო ნომერი—75 კ. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

Тифлис, ред. „ТЕАТРИ ДА ЦХОВРЕБ „Іосифу Имедашвил

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი